



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 97

ქალაქი ქუთაისი 27 მარტი 2019 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის № 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის № 23 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 23.01.2018, №90020020.35.123.016426), კერძოდ:

1. შეიცვალოს დადგენილების №1 და №2 დანართები და ჩამოყალიბდეს ისინი თანდართული რედაქციით.  
(№1 და №2 დანართები წინამდებარე დადგენილებას თან ერთვის)

2. შეიცვალოს დადგენილების №3 დანართის ცხრილის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	1900
4.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	5	1900
5.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	5	1200

**მუხლი 2.** დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2019 წლის 27 მაისიდან.

**მუხლი 3.** დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2019 წლის პირველი იანვრიდან.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა  
და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო  
მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის შ ე ს ა ხ ე ბ

N რიგზე	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი რანგი	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა ლარში
<b>საკრებულოს აპარატის მოსამსახურეები: 35 შტატი. მათ შორის:</b>				
1.	<b>საკრებულოს აპარატის უფროსი</b>	<b>პირველი რანგი /მაღალი მმართველობითი დონე/</b>	1	1900
2.	<b>მეორადი სტრუქტურული ერთეული – სამდივნო განყოფილება: 7 შტატი. მათ შორის:</b>			
ა)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამდივნო განყოფილების უფროსი	მეორე რანგი /საშუალო მმართველობითი დონე/	1	1500
ბ)	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/	2	1100
გ)	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/	4	900
3.	<b>მეორადი სტრუქტურული ერთეული – იურიდიული განყოფილება: 3 შტატი. მათ შორის:</b>			
ა)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – იურიდიული განყოფილების უფროსი	მეორე რანგი /საშუალო მმართველობითი დონე/	1	1300
ბ)	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/	2	1100
4.	<b>მეორადი სტრუქტურული ერთეული – ადმინისტრაციული განყოფილება: 10 შტატი. მათ შორის:</b>			
ა)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი	მეორე რანგი /საშუალო მმართველობითი დონე/	1	1300
ბ)	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/	4	1100
გ)	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/	5	900
5.	<b>მეორადი სტრუქტურული ერთეული – საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილება: 7 შტატი. მათ შორის:</b>			
ა)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების უფროსი	მეორე რანგი /საშუალო მმართველობითი დონე/	1	1300
ბ)	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/	3	1100
გ)	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/	3	900

6.	<p align="center"><b>მეორადი სტრუქტურული ერთეული – ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება: 4 შტატი.</b></p> <p align="center"><b>მათ შორის:</b></p>			
ა)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	მეორე რანგი /საშუალო მმართველობითი დონე/	1	1300
ბ)	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/	1	1100
გ)	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/	2	900
7.	<p align="center"><b>მეორადი სტრუქტურული ერთეული – მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება: 3 შტატი.</b></p> <p align="center"><b>მათ შორის:</b></p>			
ა)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	მეორე რანგი /საშუალო მმართველობითი დონე/	1	1300
ბ)	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/	1	1100
გ)	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/	1	900

საკრებულოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში  
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა  
ნ უ ს ხ ა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია 6 მოსამსახურე. მათ შორის:

1. დამხმარე მოსამსახურე – 1 ერთეული;
2. ფრაქციაში მოწვეული სპეციალისტი – 3 ერთეული;
3. თანაშემწე – 2 ერთეული.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ლატარია